

დანართი №6

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება - სამთო საქმე/Mining
2. სარეგისტრაციო ნომერი-
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები- მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამთო საქმეში
4. მიზანი

ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სამთო საქმის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადებას. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი შემდეგი კონცენტრაციების შესაბამისად: „სამთო ტექნიკოსი“, „მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“, „სამთო ელექტრომექანიკოსი“.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - საბაზო განათლება
6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

„სამთო ტექნიკოსი“ კონცენტრაციის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მიწისქვეშა სამთო საწარმოებში (შახტები, მადაროები), სატრანსპორტო გვირაბებში (სარკინიგზო, საავტომობილო), მეტროპოლიტენში.

„მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი“ კონცენტრაციის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სამთო საწარმოებში, კერძოდ მყარი წიაღისეულის (მანგანუმის, სპილენძის, ოქროს, ტყვიის, თუთიის, ბარიტის, რკინის, ვერცხლის, ნახშირის, საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების და სხვა) მომპოვებელი და გადამამუშავებელ ორგანიზაციებში.

„სამთო ელექტრომექანიკოსი“ კონცენტრაციის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მიწისქვეშა სამთო საწარმოებში (შახტები, მადაროები), სატრანსპორტო გვირაბებში (სარკინიგზო, საავტომობილო), მეტროპოლიტენში.

7. სტრუქტურა და მოდულები

„სამთო საქმის“ ჩარჩო დოკუმენტი აერთიანებს მესამე საფეხურის ერთ კვალიფიკაციას და 3 კონცენტრაციას.

მათ აქვთ საერთო: 3 ზოგადი მოდული - 10 ჯამური კრედიტის ოდენობით და 2 პროფესიული მოდული - გაცნობითი პრაქტიკა - „სამთო საქმეში“ - 2 კრედიტი და „სამთო საქმის საფუძვლები“ - 2 კრედიტი, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის თითოეული

დანართი №6

კონცენტრაციისთვის განკუთვნილია კრედიტების შემდეგი რაოდენობა: **სამთო ტექნიკოსი** - 35 კრედიტი; **მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი** - 35 კრედიტი; **სამთო ელექტრომექანიკოსი** - 35 კრედიტი.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის თითოეული კონცენტრაციისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს:

- სამთო ტექნიკოსი - 60 კრედიტი;
- მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი - 60 კრედიტი;
- სამთო ელექტრომექანიკოსი - 60 კრედიტი.

ჩარჩო დოკუმენტი - „სამთო საქმე“ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამთო საქმის სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, სასურველია, დაიგეგმოს შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი მოდულები, საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულები, შემდეგ კი თითოეული კონცენტრაციის შესაბამისად განსაზღვრული პროფესიული მოდულები.

ზოგადი მოდულები				კრედიტი	
1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია				3	
2. ინფორმაციული წიგნიერება 1				3	
3. უცხოური ენა				4	
ჯამი:				10	
საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულები				კრედიტი	
1. გაცნობითი პრაქტიკა - სამთო საქმე				2	
2. სამთო საქმის საფუძვლები				2	
არჩევითი კონცენტრაციები:					
სამთო ტექნიკოსი		სამთო ელექტრომექანიკოსი		მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	
1.პრაქტიკული პროექტი სამთო ტექნიკოსისათვის	5	1.პრაქტიკული პროექტი სამთო ელექტრომექანიკოსისათვის	5	1.პრაქტიკული პროექტი მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების	5

დანართი №6

				ტექნოლოგიის სპეციალისტისათვის	
2.წმენდითი და გვირაბსაყვანი სამუშაოების ორგანიზაცია	4	2.ელექტრომექანიკური მოწყობილობების მონტაჟი	6	2.მყარი წიაღისეულის გამდიდრება	6
3.გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია	4	3.ელექტრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაცია	5	3. სამსხვრევ-საფქვაკი და საკლასიფიკაციო დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება	5
4.წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია	8	4.სამთო მანქანები და კომპლექსები	5	4.დამხმარე პროცესებში გამოყენებული დანადგარების მომსახურება	5
5. სამთო საწარმოთა აეროლოგია	4	5.სამთო ელექტროტექნიკა	4	5.ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება მამდიდრებელ ფაბრიკებში	4
6.შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში	4	6.სამთო ელექტრომექანიკური დანადგარებისა და სისტემების უსაფრთხოება	4	6.მამდიდრებელი ფაბრიკების ელექტრომომარაგება	5
7.სამთო მანქანების, მოწყობილობებისა და კომპლექსების რემონტი	6	7.სამახტო ამწევი დანადგარები	2	7.წიაღისეულის გამდიდრების პროცესების ავტომატური კონტროლის საშუალებები	5
		8.სამთო მანქანების ელექტრული ამძრავი	4		
	35		35		35

საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულები				
№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა	საბაზო განათლება		2
2.	სამთო საქმის საფუძვლები	საბაზო განათლება		2

დანართი №6

არჩევითი კონცენტრაცია - სამთო ტექნიკოსი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი სამთო ტექნიკოსისათვის – სამთო საწარმოთა მშენებლობა და ექსპლუატაცია	საბაზოგანათლება; სამთო ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	5
2.	წმენდითი და გვირაბგასაყვანი სამუშაოების ორგანიზაცია	საბაზოგანათლება	4
3.	გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია	საბაზოგანათლება	4
4.	წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია	საბაზოგანათლება	8
5.	სამთო საწარმოთა აეროლოგია	საბაზოგანათლება	4
6.	შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში	საბაზო განათლება; მოდული: სამთო საწარმოთა აეროლოგია	4
7.	სამთო მანქანების, მოწყობილობებისა და კომპლექსების რემონტი	საბაზოგანათლება	6

არჩევითი კონცენტრაცია - მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტისათვის – მყარი წიაღისეულის გამდიდრების პროცესში გამოყენებული აპარატურის მომსახურება შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით	საბაზო განათლება; მყარი სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	5
2.	მყარი წიაღისეულის გამდიდრება	საბაზო განათლება	6

დანართი №6

არჩევითი კონცენტრაცია - მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
3.	სამსხვრევ-საფქვავე და საკლასიფიკაციო დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება	საბაზო განათლება	5
4.	დამხმარე პროცესებში გამოყენებული დანადგარების მომსახურება	საბაზო განათლება	5
6.	ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება მამდიდრებელ ფაბრიკებში	საბაზო განათლება	4
7.	მამდიდრებელი ფაბრიკების ელექტრომომარაგება	საბაზო განათლება	5
8.	წიაღისეულის გამდიდრების პროცესების ავტომატური კონტროლის საშუალებები	საბაზო განათლება	5

არჩევითი კონცენტრაცია - სამთო ელექტრომექანიკოსი			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	პრაქტიკული პროექტი სამთო ელექტრომექანიკოსისათვის – სამთო ელექტრომექანიკური მოწყობილობების მომსახურება	საბაზო განათლება; სამთო ელექტრომექანიკოსის პროფესიული საგანმანათლებელ პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული	5
2.	ელექტრომექანიკური მოწყობილობების მონტაჟი	საბაზო განათლება; მოდული: სამთო ელექტროტექნიკა	6
3.	ელექტრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაცია	საბაზო განათლება; მოდული: სამთო ელექტროტექნიკა	5
4.	სამთო მანქანები და კომპლექსები	საბაზო განათლება	5
5.	სამთო ელექტროტექნიკა	საბაზო განათლება	4

დანართი №6

6.	სამთო ელექტრომექანიკური დანადგარებისა და სისტემების უსაფრთხოება	საბაზო განათლება	4
7.	საშახტო ამწევი დანადგარები	საბაზო განათლება	2
8.	სამთო მანქანების ელექტრული ამძრავი	საბაზო განათლება	4

არჩევითი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გვირაბების სამაგრი კონსტრუქციები	საბაზო განათლება	3
2	გვირაბების მშენებლობის პერსპექტიული მეთოდები	საბაზო განათლება	3
3	ტექნიკური დოკუმენტაცია და გრაფიკული მასალები	საბაზო განათლება	3
4	სამთო საწარმოების სატრანსპორტო მანქანები	საბაზო განათლება	5
5	კიდული ბაგირგზები	საბაზო განათლება	3
6	ვენტილატორები, ტუმბოები და კომპრესორები	საბაზო განათლება	5
7	საშახტო საელმავლო წევის ელმომარაგება	საბაზო განათლება	3
8	გრაფიტაციული გამდიდრების პროცესებისა და მანქანა-დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება	საბაზო განათლება	8
9	ფლოტაციური პროცესისა და საფლოტაციო მანქანების ტექნოლოგიური მომსახურება	საბაზო განათლება	6
10	სარეაგენტო მეურნეობა	საბაზო განათლება	3
11	გამდიდრების მაგნიტური, ელექტრული პროცესების და დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება	საბაზო განათლება	5
12	მამდიდრებელ ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესების დასინჯვა-კონტროლი	საბაზო განათლება	3

დანართი №6

13	საშახტო ელმავლის მემანქანე	საბაზო განათლება	8
14	საშახტო ამწის მემანქანე	საბაზო განათლება	8

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

საერთო სწავლის შედეგები ყველა კონცენტრაციისათვის:

- პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა;
- კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა;
- პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება;

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „სამთო ტექნიკოსი“

- წმენდითი და გვირაბგასაყვანი სამუშაოების ორგანიზაცია
- გვირაბების გაყვანის ორგანიზაცია
- წიაღისეულის მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია
- სამთო საწარმოთა აეროლოგია
- შრომის უსაფრთხოება სამთო საწარმოებში
- სამთო მანქანების, მოწყობილობებისა და კომპლექსების რემონტი

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „მყარი წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიის სპეციალისტი“

- მყარი წიაღისეულის გამდიდრება
- სამსხვრევ-საფქვაკი და საკლასიფიკაციო დანადგარების ტექნოლოგიური მომსახურება
- დამხმარე პროცესებში გამოყენებული დანადგარების მომსახურება
- ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება მამდიდრებელ ფაბრიკებში

დანართი №6

- მამდიდრებელი ფაბრიკების ელექტრომომარაგება
- წიაღისეულის გამდიდრების პროცესების ავტომატური კონტროლის საშუალებები

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „სამთო ელექტრომექანიკოსი“

- ელექტრომექანიკური მოწყობილობების მონტაჟი
- ელექტრომექანიკური მოწყობილობების ექსპლუატაცია
- სამთო მანქანები და კომპლექსები
- სამთო ელექტროტექნიკა
- სამთო ელექტრომექანიკური დანადგარებისა და სისტემების უსაფრთხოება
- საშახტო ამწევი დანადგარები
- სამთო მანქანების ელექტრული ამძრავი

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-სა.

დანართი №6

ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შესაძლებელია შემუშავდეს ორი სახის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

დანართი №6

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% -ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი/სტანდარტები:
 - ✓ სამთო ტექნიკოსი - 07108 - ს
 - ✓ სამთო ელექტრომექანიკოსი - 07109 - ს
 - ✓ მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი - 07110 - ს
 - ✓ საშახტო ამწის მემანქანე;
 - ✓ საშახტო ელმავლის მემანქანე;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი/მოდულები:

დანართი №6

- ✓ სამთო ტექნიკოსი - 07108-პ
- ✓ სამთო ელექტრომექანიკოსი - 07109-პ
- ✓ მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი - 07110-პ

14. საავტორო უფლებები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია “საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის” (GIG) გარე ინიცირების ფარგლებში.